

# ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

## ოქმი №7

ქ.ვანი, თავისუფლების ქ.№65

8 მაისი 2019 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე-ალექსანდრე ლილუაშვილი.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაძე, ტარიელ ბარამიძე, რამაზ არველაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, ეთერი ჭიჭინაძე, გელა ღვიტიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარბეიშვილი, თამთა დვალიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, მალხაზ ცერცვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, რობიზონ ფუტკარაძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალიშვილი, სანდრო ხურციძე, შოთა გიორგაძე, დავით ადეიშვილი, თორნიკე ერისთავი.

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გელა ვარდოსანიძე, კობა ძაგნიძე, ბიჭიკო პაიკიძე, ოლეგი მიქელთაძე, ამირან ტალახაძე, მერაბ ხურციძე, დავით კაკაბაძე, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი.

(დანართი №1).

**სხდომას ასევე ესწრებოდა:**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე იურიდიულ საკითხებში- სალომე ფახურიძე.

## მოწვეული პირი:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი-ივანე მამფორია.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი-მამუკა ნამიჭეიშვილი;

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი-ზვიად კაპანაძე.

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს დია სხდომას 14<sup>00</sup> საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

## დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელი: ივანე მამფორია

2. „ვანის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლების გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: გელა ჩიკვაიძე

3. „ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდრის N3 და N4 ქუჩებისათვის 2011 წელს ავღანეთში სამხედრო-სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული რეზო ბერიძის („დინჯი“) სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“;

მომხსენებელი: გელა ჩიკვაიძე

4. „ქალაქ ვანში თამარ მეფის ქუჩა N2-ში მდებარე შენობის მეორე სართულზე განთავსებულ საჭადრაკო კლუბისთვის წინო ხურციძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ივანიაძე

5. „სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუამთას საჯარო სკოლისათვის ტიციან ტაბიძის სახელის მინიჭების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი ივანიაძე

6. „ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის, საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრისა და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების პრივატიზების პროცესის დაჩქარებისა და მოწესრიგების ღონისძიებათა თაობაზე“;

მომხსენებელი: ზვიად კაპანაძე

7. „ვანის მუნიციპალიტეტში 2019 წელში ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული განვითარებისათვის პროექტების შერჩევის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 დეკემბრის N27 69 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: მამუკა ნამიჭეიშვილი

**დაადგინეს:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილის სახით.

**მოისმინეს:** დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ცვლილების საჭიროება განაპირობა სახელმწიფოს ბიუჯეტიდან დამატებით გამოყოფილმა ტრანსფერმა:

ა) 2019 წლის 25 აპრილის N986 განკარგულებით, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად გამოიყო-165, 0 ათასი ლარი.

ბ) საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირების მიზნით გაფორმდა ახალი ხელშეკრულება N 87 25.04.2019 წ. ღირებულებით-52,2 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ასიგნებებში განხორციელდება შემდეგი სახის ცვლილებები:

- 01 02 „მუნიციპალიტეტის მერია“-ასიგნება იზრდება 17,7 ათასი ლარით, სოფ. ბზვანის ადმინისტრაციული შენობის სახურავის შეცვლის მიზნით;
- 03 03 „ურბანული ტერიტორიის კეთილმოწყობა“-ასიგნება იზრდება 34,3 ათასი ლარით ქ. ვანში სოლომონ მეორის ქ. N35-ში მდებარე 12 ბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის შეცვლის მიზნით;
- 05 01 04 „სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია“-ასიგნება იზრდება 27,8 ათასი ლარით, ციხესულორის სპორტული სკოლის შენობის სახურავის შეცვლის მიზნით;
- 06 02 04 „სტიქიით დაზარალებულთა ხელშეწყობა“-ასიგნება იზრდება 85,2 ათასი ლარით, მოსახლეობაზე მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ სამშენებლო მასალების შესყიდვის მიზნით;
- 04 03 „ზოგადი განათლების ხელშეწყობა“-ასიგნება იზრდება 52.2 ათასი ლარით, საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების მიზნით;

საკუთარი სახსრებით გამოყოფილ ასიგნებებში განხორციელდება შემდეგი სახის ცვლილებები:

- 03 03 „ურბანული ტერიტორიის კეთილმოწყობა“-ასიგნება მცირდება 4,0 ათასი ლარით, სკვერების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე წარმოშობილი ეკონომიით, რაც გამოვლინდა ექსპერტიზის დასკვნის შედეგად.
- 01 02 „მუნიციპალიტეტის მერია“-ასიგნება იზრდება 4,0 ათასი ლარით, საექსპერტო მომსახურების შესყიდვის მიზნით.

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე -26

წინააღმდეგი-არცერთი.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

(დანართი: დადგენილება N15)

**მოისმინეს:** დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის, განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე -26

წინააღმდეგი-არცერთი.

**გადაწყვიტეს:** დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლების გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“;

**მოისმინეს:** დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი: „ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდრის N3 და N4 ქუჩებისათვის 2011 წელს ავღანეთში სამხედრო-სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული რეზო ბერიძის („დინჯი“) სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“; მომხსენებელმა განმარტა, რომ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე-გელა ვარდოსანიძე შემოვიდა საკრებულოში ინიციატივით, რომ 2011 წელს ავღანეთში სამხედრო-სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული რეზო ბერიძის („დინჯი“) სახელი მიენიჭოს სოფ. ზეინდრის N3 და N4 ქუჩებს და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკრებულომ მიიჩნიოს მიზანშეწონილად ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდრის N3 და N4 ქუჩებისათვის რეზო ბერიძის („დინჯი“) სახელის მინიჭება.

მოგეხსენებათ, ქუჩისთვის კონკრეტული პიროვნების სახელის მისანიჭებლად საჭიროა გავიდეს 20 წელი, მიუხედავად იმისა, რომ რეზო ბერიძის გარდაცვალებიდან გასული არ არის 20 წელი, მიზანშეწონილობიდან გამომდინარე საკრებულოს აქვს პრეროგატივა დაუშვას გამონაკლისი ამ კუთხით.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე -26

წინააღმდეგი-არცერთი.

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდრის N3 და N4 ქუჩებისათვის 2011 წელს ავღანეთში სამხედრო-სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული რეზო ბერიძის („დინჯი“) სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“.

**მოისმინეს:** დღის წესრიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი: „ქალაქ ვანში თამარ მეფის ქუჩა N2-ში მდებარე შენობის მეორე სართულზე განთავსებულ საჭადრაკო კლუბისთვის ნინო ხურციძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტი ითვალისწინებს ქალაქ ვანში თამარ მეფის ქუჩა N2-ში მდებარე შენობის მეორე სართულზე განთავსებულ საჭადრაკო კლუბისათვის (საკადასტრო კოდი 31. 01. 30. 144) ნინო ხურციძის სახელის მინიჭებას, პროექტის მიხედვით ვანის საჭადრაკო კლუბს ეწოდება „ნინო ხურციძის სახელობის ვანის საჭადრაკო კლუბი.“ აღსანიშნავია, რომ ნინო ხურციძე წარმატებული ვანელი მოჭადრაკე იყო წარმოშობით სოფ. ძულუხიდან, საჭადრაკო კლუბისათვის მისი სახელის მინიჭება უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენს, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სექტემბრის თვეში იგეგმება ნინო ხურციძის სახელობის ტურნირი ჭადრაკში და აღნიშნული კლუბის გახსნა სწორედ ამ მოვლენას დაუკავშირდება. ამ ეტაპზე დაწყებულია შესაბამისი სამუშაოები, რომელიც პროექტის მიხედვით ორ თვეში დასრულდება, თუმცა ეს პროცესი არ აფერხებს საჭადრაკო კლუბისათვის ნინო ხურციძის სახელის მინიჭებას.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე -26

წინააღმდეგი-არცერთი.

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს განკარგულება „ქალაქ ვანში თამარ მეფის ქუჩა N2-ში მდებარე შენობის მეორე სართულზე განთავსებულ საჭადრაკო კლუბისთვის ნინო ხურციძის სახელის მინიჭების შესახებ“;

(დანართი: განკარგულება N27 16)

**მოისმინეს:** დღის წესრიგით წარმოდგენილ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ „სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუამთას საჯარო სკოლისათვის ტიციან ტაბიძის სახელის მინიჭების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე“; მომხსენებელმა განმარტა, რომ სოფ. შუამთის სკოლის სამეურვეო საბჭო შემოვიდა ინიციატივით შუამთის საჯარო სკოლისათვის ტიციან ტაბიძის სახელის მინიჭების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა ტიციან ტაბიძის სახელს ატარებდა 1984 წ-დან 2007 წ-მდე. მოგეხსენებათ „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანების მე-4<sup>1</sup> მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აქვს უფლება თანხმობა მისცეს სსიპ მუნიციპალიტეტის სოფ. შუამთის საჯარო სკოლას ეწოდოს ტიციან ტაბიძის სახელი.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე -26

წინააღმდეგი-არცერთი.

**გადაწყვიტეს:** „სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუამთას საჯარო სკოლისათვის ტიციან ტაბიძის სახელის მინიჭების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე“;

(დანართი: განკარგულება N27 15)

**მოისმინეს:** დღის წესრიგით წარმოდგენილ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი: „ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის, საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრისა და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების პრივატიზების პროცესის დაჩქარებისა და მოწესრიგების ღონისძიებათა თაობაზე“;



მომხსენებელმა წარმოადგინა ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შესატანი მუნიციპალური საკუთრების შემდეგი ობიექტები თავისი საწყისი ფასებით, რომელიც აუდიტის მიერ არის შეფასებული.

1.1 სოფ. ზედა ვანში მდებარე 2250 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.02.23.052);

1.2 სოფ. გადიდში მდებარე 3500 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.20.23.251);

1.3 სოფ. უხუთში მდებარე 343 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.12.22.274);

1.4 სოფ. უხუთში მდებარე 256 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.12.21.177);

1.5 სოფ. დიხაშხოში მდებარე 30 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.07.23.205)

1.6 სოფ. შუამთაში მდებარე 5500 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.03.28.209);

1.7 სოფ. გორაში მდებარე 22553 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (31.13.21.292);

1.8 სოფ. ბზვანში მდებარე 24 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.08.24.341);

1.9 სოფ. ტობანიერში მდებარე 6200 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.04.21.256);

1.10 სოფ. ზედა ვანში, მდებარე 16900 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.31.123); 1.11 ვანის მუნიციპალიტეტში მდებარე 6500 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.31.181);

1.12 სოფ. დიხაშხოში მდებარე 1053 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.07.23.210);

1.13 სოფ. დიხაშხოში მდებარე 1082 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.07.23.207); 1.14 ქ. ვანში თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 967 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.26.333);

1.15 ქ. ვანში, გ. ტაბიძის ქუჩაზე მდებარე 3570 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 2098 კვმ შენობანაგებობა (ს/კ 31.01.25.178);

1.16 სოფ. დიხაშხოში მდებარე 2166 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 418.8 კვმ შენობა-ნაგებობა (ს/კ 31.07.28.106);

1.17 სოფ. შუამთაში მდებარე (სოფ. ჭყვიშის კლუბის შენობა) 413 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული 172.15 კვმ შენობა-ნაგებობა (ს/კ 31.03.24.105);

1.18 სოფ. ზედავანში 1018 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 31.02.24.007) მდებარე 825.87 კვ შენობა-ნაგებობის ნაწილის (684.694 კვმ შენობა-ნაგებობის) დემონტაჟი.

1.19 ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N 59-ში მდებარე 931 კვმ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 31.01.26.284) არსებული N1 და N2 შენობა-ნაგებობის დემონტაჟი.

1.20 სოფ. სულორში 780 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 31.18.23.164) მდებარე 407.50 კვმ შენობა-ნაგებობის დემონტაჟი;

1.21 სოფ. დიხაშხოში 639 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 31.07.24.132) მდებარე 597 კვმ შენობა-ნაგებობის დემონტაჟი;

1.22 სოფ. შუამთაში 29515 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 31.03.25.153) მდებარე N4 შენობა-ნაგებობიდან სასწავლო კორპუსის ორ სართულიანი შენობა-ნაგებობის დემონტაჟი;

1.23 სოფ. შუამთაში 29515 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 31.03.25.153) მდებარე N1 შენობა-ნაგებობის (წყლის მომარაგების კომპლექსის) დემონტაჟი;

1.24 ქ. ვანში, თავისუფლების ქ. N57 ში მდებარე 2886 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.26.063) და მასზე განთავსებული N1 1183.37 კვმ და N 2 56.7 კვმ შენობა-ნაგებობები;

1.25 სოფ. ზეინდარში მდებარე 3285 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 1074.23 კვმ შენობა-ნაგებობა (ს/კ 31.17.25.208).

2. ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი ფასი განისაზღვროს შემდეგნაირად:

2.1 სოფ. ზედა ვანში მდებარე 2250 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.02.23.052), საპრივატიზებო ღირებულება 900 (ცხრაასი) ლარი;

2.2 სოფ. გადიდში მდებარე 3500 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.20.23.251), საპრივატიზებო ღირებულება 1150 (ათას ასორმოცდაათი) ლარი;

- 2.3 სოფ. უხუთში მდებარე 343 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.12.22.274), საპრივატიზებო ღირებულება 170 (ას სამოცდაათი) ლარი;
- 2.4 სოფ. უხუთში მდებარე 256 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.12.21.177), საპრივატიზებო ღირებულება 130 (ას ოცდაათი) ლარი
- 2.5 სოფ. დიხაშხოში მდებარე 30 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.07.23.205), საპრივატიზებო ღირებულება 300 (სამასი) ლარი;
- 2.6 სოფ. შუამთაში მდებარე 5500 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.03.28.209), საპრივატიზებო ღირებულება 4400 (ოთხი ათას ოთხასი) ლარი;
- 2.7 სოფ. გორაში მდებარე 22553 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (31.13.21.292), საპრივატიზებო ღირებულება 18042 (თვრამეტი ათას ორმოცდაორი) ლარი;
- 2.8 სოფ. ბზვანში მდებარე 24 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.08.24.341), საპრივატიზებო ღირებულება 1000 (ათასი) ლარი;
- 2.9 სოფ. ტობანიერში მდებარე 6200 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.04.21.256), საპრივატიზებო ღირებულება 4960 (ოთხი ათას სამოცი) ლარი;
- 2.10 ქ. ვანში, მდებარე 16900 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.31.123), საპრივატიზებო ღირებულება 13520 (ცამეტი ათას ხუთას ოცი) ლარი;
- 2.11 ქ. ვანში მდებარე 6500 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.31.181), საპრივატიზებო ღირებულება 5200 (ხუთი ათას ორასი) ლარი;
- 2.12 სოფ. დიხაშხოში მდებარე 1053 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.07.23.210), საპრივატიზებო ღირებულება 845 (რვაას ორმოცდახუთი) ლარი;
- 2.13 სოფ. დიხაშხოში მდებარე 1082 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.07.23.207), საპრივატიზებო ღირებულება 865 (რვაას სამოცდახუთი) ლარი;
- 2.14 ქ. ვანში თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 967 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.26.333), საპრივატიზებო ღირებულება 30000 (ოცდაათი ათასი) ლარი;
- 2.15 ქ. ვანში, გ. ტაბიძის ქუჩაზე მდებარე 3570 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 2098 კვმ შენობა-ნაგებობა (ს/კ 31.01.25.178) საპრივატიზებო ღირებულება 627000 (ექვსას ოცდაშვიდი ათასი) ლარი;
- 2.16 სოფ. დიხაშხოში მდებარე 2166 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 418.8 კვმ შენობანაგებობა (ს/კ 31.07.28.106) საპრივატიზებო ღირებულება 104500 (ასოთხი ათას ხუთასი) ლარი;

2.17 სოფ. შუამთაში მდებარე (სოფ. ჭყვიშის კლუბის შენობა) 413 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული 172.15 კვმ შენობა-ნაგებობა (ს/კ 31.03.24.105), საპრივატიზებო ღირებულება 11130 (თერთმეტი ათას ას ოცდაათი) ლარი;

2.18 სოფ. ზედავანში 1018 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 31.02.24.007) მდებარე 825.87 კვ შენობა-ნაგებობის ნაწილის (684.694 კვმ შენობა-ნაგებობის) დემონტაჟი, საპრივატიზებო ღირებულება 7600 (შვიდი ათას ექვსასი) ლარი;

2.19 ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N 59-ში 931 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 31.01.26.284) მდებარე N1 და N2 შენობანაგებობების დემონტაჟი. საპრივატიზებო ღირებულება 200 (ორასი) ლარი; 2.20 სოფ. სულორში 780 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 31.18.23.164) მდებარე 407.50 კვმ შენობა-ნაგებობის დემონტაჟი, საპრივატიზებო ღირებულება 800 (რვაასი) ლარი;

2.21 სოფ. დიხაშხოში 639 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 31.07.24.132) მდებარე 597 კვმ შენობა-ნაგებობის დემონტაჟი, საპრივატიზებო ღირებულება 200 (ორასი) ლარი;

2.22 სოფ. შუამთაში 29515 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 31.03.25.153) მდებარე N 4 შენობა-ნაგებობიდან სასწავლო კორპუსის ორ სართულიანი შენობა-ნაგებობის დემონტაჟი, საპრივატიზებო ღირებულება 9000 (ცხრა ათასი) ლარი;

2.23 N 1 შენობა-ნაგებობის (წყლის მომარაგების კოშკის) დემონტაჟი, საპრივატიზებო ღირებულება 500 (ხუთასი) ლარი;

2.24 ქ. ვანში, თავისუფლების ქ. N57 ში მდებარე 2886 კვმ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.26.063) და მასზე განთავსებული N1 1183.37 კვმ და N 2 56.7 კვმ შენობა-ნაგებობები, საპრივატიზებო ღირებულება 165900 (ას სამოცდახუთი ათას ცხრაასი) ლარი;

2.25 სოფ. ზეინდარში მდებარე 3285 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 1074.23 კვმ შენობა - ნაგებობა (31.17.25.208) საპრივატიზებო ღირებულება 40000 (ორმოცი ათასი) ლარი.

3. ვანის მუნიციპალიტეტის მერმა (ა. გოგორიშვილმა) უზრუნველყოს საპრივატიზებო ნუსხაში დამტკიცებული ობიექტების პრივატიზება მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ (გ. გოგიბერიძემ).

5. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N1). მუხლი

წარმოდგენილი პროექტის მიმართ გამოითქვა შენიშვნები: კერძოდ, სოფ. ზედა ვანში 1018 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 31.02.24.007) მდებარე 825.87 კვმ შენობა-ნაგებობის ნაწილის (684.694 კვმ შენობა-ნაგებობის) ნაწილობრივ დემონტაჟთან დაკავშირებით.

დეპუტატი რობიზონ ფუტკარაძე: აღნიშნული შენობა წლების მანძილზე სოფ. ზედა ვანის ადმინისტრაციულ შენობას წარმოადგენდა და განსაკუთრებული დანიშნულება ჰქონდა, გამომდინარე იქედან, რომ შენობა ავარიულ მდგომარეობაშია უმჯობესი იქნებოდა არა ნაწილობრივ, არამედ შენობის სრული დემონტაჟი და სრულიად ახალი შენობის აშენება, რაც აგრეთვე გაცილებით ნაკლებ დანახარჯთან იქნებოდა დაკავშირებული.

საკრებულოს თავმჯდომარემ-ალექსანდრე ლილუაშვილმა კი აღნიშნა, რომ საწყის ეტაპზე ვიმოქმედოთ პროექტის მიხედვით, რაც ითვალისწინებს შენობა-ნაგებობის ნაწილის დემონტაჟს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე -26

წინააღმდეგი-არცერთი.

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის, საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრისა და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების პრივატიზების პროცესის დაჩქარებისა და მოწესრიგების ღონისძიებათა თაობაზე“;

(დანართი: განკარგულება N27 18)

**მოისმინეს:** დღის წესრიგით წარმოდგენილ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიტორელიძემ (მამუკა ნამიჭეიშვილის არყოფნის გამო)

წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში 2019 წელში ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული განვითარებისათვის საჭირო პროექტების შერჩევის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 დეკემბრის N27 69 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა ცვლილება გამოიხატება იმაში, რომ შერჩეულ პროექტებს დაემატა ახალი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქ. ვანში თავისუფლების ქ. N63 და N65-ის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობას, აღნიშნულ ტერიტორიაზე გათვალისწინებულია სკვერების მოწყობა, მოპირკეთება.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე -26

წინააღმდეგი-არცერთი.

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტში 2019 წელში ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული განვითარებისათვის საჭირო პროექტების შერჩევის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 დეკემბრის N27 69 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

(დანართი: განკარგულება N27 17)

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების ამოწურვის შემდგომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

**ალექსანდრე ლილუაშვილი**

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე